

# 1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

18 დეკემბერი, 2023



№ 7 [2249]



**გიდოცავთ შობა-ახად წედს!**

დღესასწაულები და მათთან დაკავშირებული რიტუალები დროთა ვითარებაში ცვლილებას განიცდიან გვესაუბრება ეთნოლოგი, პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

11 გვ.

**საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას თსუ გამოეხმაურა**



2 გვ.

**ლადო პაპავა: საახალწლო სუფრის გაშლა ყველას შეუძლია, მთავარია – რა იქნება ამ სუფრაზე?!**



11 გვ.



**ჰააგის სასამართლოს ხუთი მოსამართლე თსუ-ში**

**წლის საუნივერსიტეტო მოვლენად დასახელდა საერთაშორისო კონფერენცია ჰააგის სასამართლოს ხუთი მოსამართლის, ქართველი და უცხოელი პროფესორების მონაწილეობით**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიისა და ევროპის რეგიონში უნიკალური სამეცნიერო კონფერენცია – „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – მიმდინარე გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები“ გაიმართა.

3 გვ.

**საახალწლო სურვილები, რომლებიც ახდენას ელოდებიან**

8, 12 გვ.



**წლის გამარჯვება, რომელიც თსუ-ს საკალათბურთო გუნდმა მოუტანა**

ირაკლი ხარჭავანიძე: ჩვენ ამ უნივერსიტეტის მუნდირი გვაცვია და მას ვუფრთხილდებით



**სტუდენტური ფურცელი**

7-10 გვ.



**სიახლე ლინგვისტური კონცეფციის მე-100 წლისთავზე**

4 გვ.



**ისტორიკოს აკაკი სურგულაძის შეუვალი პოზიციები ეროვნული ღირსების დასაცავად მოგონებები მეცნიერზე 110 წლისთავთან დაკავშირებით**

14-16 გვ.



წლის იდეა

**„ანტიკური კავკასიის“ ხუთტომეული ენციკლოპედიის გაციფრებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია**

5 გვ.



tsu.media

# საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას თსუ გამოეხმაურა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საზოგადოებას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება მიულოცა.

„გილოცავთ ძვირფასო მეგობრებო! საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭა! აღსრულდა ქართველთა მრავალი თაობის სურვილი – მჭიდროდ დაკავშირებით ევროპულ ოჯახს. დღეს კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით განათლებისკენ, განვითარებისკენ, მშვიდობისკენ, წარმატებისკენ! მადლობა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში, მადლობა ევროპულ მეგობრებს ჩვენი მხარდაჭერისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ შემდგომ ნაბიჯებსაც მალე გადავდგამთ და ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევ-



რი გავხდებით! წინ ევროპისკენ! დიდება საქართველოს!“ – ნათქვამია თსუ-ს რექტორის მილოცვაში.

საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი ევროკავშირის დროშის ფერებში განათდა.

თსუ-ს ეზოში შეკრებილმა რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, სტუდენტებმა, პროფესორებმა, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მსვლელობა მოაწყვეს პირველი კორპუსის ეზოდან რუსთაველის გამზირისკენ და კანდიდატის სტატუსის მინიჭების აღსანიშნავ ზეიმში მიიღეს მონაწილეობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



**აღსრულდა ქართველთა მრავალი თაობის სურვილი – მჭიდროდ დაკავშირებით ევროპულ ოჯახს. დღეს კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით განათლებისკენ, განვითარებისკენ, მშვიდობისკენ, წარმატებისკენ! მადლობა ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ საქმეში, მადლობა ევროპულ მეგობრებს ჩვენი მხარდაჭერისთვის.**



## ქრონიკა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტით დაფინანსების კონკურსის ლიდერია.

2023 წლის კონკურსში გამარჯვებული 112 პროექტიდან ყველაზე მეტი – 36 პროექტი თსუ-ს მეცნიერებს ეკუთვნით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერებმა ტრადიციულად ყველაზე მეტი – 13 პროექტი მოიპოვეს 2023 წლის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი-ს მიერ გამოცხადებულ ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ აბაშიძე მიდღებრის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის (მონტერეი, კალიფორნია) მინვეით აშშ-ში იმყოფებოდა. ვიზიტის განმავლობაში ზურაბ აბაშიძემ, მომხსენებლის სტატუსით, მიიღო მონაწილეობა რამდენიმე სემინარში, რომლებზეც განხილული იყო საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხები და სამხრეთ კავკასიაში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება.

ლონისძიების მონაწილეთა და ორგანიზატორთა ინტერესი გამოიწვია საქართველოს პრაგმატულმა საგარეო პოლიტიკამ და მისმა წარმატებებმა ევროინტეგრაციის გზაზე. მიდღებრის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტის ადმინისტრაციამ ზურაბ აბაშიძეს საპატიო სიგელი გადასცა. მიდღებრის ინსტიტუტი მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტული ცენტრია საერთაშორისო ურთიერთობათა და განიარაღების საკითხების შესწავლის კუთხით.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩთან ანა მარია შიკოსთან ერთად ხელი მოაწერა წიგნების კოლექციის გადმოცემის ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც უნგრეთის საგარეო სამინისტრომ და ეტვეშ ლორანდის სახელობის უნივერსიტეტმა თსუ-ს ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა. თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ მადლობა გადაუხადა ელჩს საჩუქრისთვის და იმ ღვაწლისთვის, რომელიც მან ქართულ-უნგრული ურთიერთობების მაქსიმალურად დაახლოებისთვის გასწია. მისი თქმით, უნგრული ენის მიმართ მაღალი ინტერესი არის იმ პოლიტიკის დამსახურება, რომელსაც მიჰყვება საელჩო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნგრული ენისა და კულტურის ცენტრთან ერთად.

ლონისძიებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნგრული ენისა და კულტურის შემსწავლელი კურსის ხელმძღვანელი არპად ელეში, თსუ-ს რექტორის მოადგილე ერეკლე ასტახიშვილი, თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი და სტუდენტები ესწრებოდნენ.

\*\*\*

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გერმანიაში, გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტში სტუმრობისას ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახალარჩეულ დირექტორთან, პროფესორ გერდ კარლინგთან და ქართველოლოგიის მიმართულების პროფესორთან მანანა თანდაშვილთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფარგლებში ფუნქციონირებს ქართველოლოგიის მიმართულება, სადაც დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ისწავლონ. უნივერსიტეტში ასევე არსებობს რუსთაველის კაბინეტი.

ჯაბა სამუშიამ ინსტიტუტის ხელმძღვანელს გააცნო მიზნები იმ ფართო და მრავალმხრივი თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტსა და თსუ-ს აქვს ქართველოლოგიის მიმართულებით. საუბარი, ასევე, შეეხო კავკასიოლოგიის, როგორც ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობებს სომხეთისა და აზერბაიჯანის წამყვანი უნივერსიტეტების ჩართულობით.

გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტში სტუმრობისას, თსუ-ს რექტორი ასევე შეხვდა გერმანელ სტუდენტებს, რომლებმაც სამაგისტრო ნაშრომები დაიცვეს ქართველოლოგიასა და რუსთაველოლოგიაში და აპირებენ იმავე მიმართულებით სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებას.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ ფილოსოფიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია – „ფილოსოფია 105“ – გახსნა. ლონისძიების ფარგლებში უნივერსიტეტში შალვა ნუცუბიძის ბიუსტი გაიხსნა. კონფერენციას, რომელიც სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დაარსებიდან 105 წლისთავს მიეძღვნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ნანა გაფორინდაშვილი, თსუ-ს ფილოსოფიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი დემურ ჯალალონია, პროფესორები, სტუდენტები და შალვა ნუცუბიძის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

თსუ-ს რექტორმა ჯაბა სამუშიამ შალვა ნუცუბიძისა და სხვა ქართველი ფილოსოფოსების ღვაწლზე ისაუბრა, რომლებმაც მსოფლიო ფილოსოფიურ აზროვნებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს.

## როინ მეტრეველის მილოცვა თსუ-ს გაზეთს 96 წლისთავზე

თსუ-ს გაზეთს „თბილისის უნივერსიტეტი“ დეკემბერში 96 წელი შეუსრულდა. იმის მიუხედავად, რომ გაზეთის რედაქციისთვის 2023 წელი საიუბილეო წელი არ არის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, წლების მანძილზე თსუ-ს ყოფილმა რექტორმა და გაზეთის დიდმა გულშემმატკივარმა როინ მეტრეველმა მილოცვა გამოგიგზავნა. ბატონი როინი სტუდენტობის პერიოდიდან წერდა და აქვეყნებდა მასალებს უნივერსიტეტის გაზეთში და, როგორც ისტორიკოსი, მისით დღემდე ინტერესდება.



როინ მეტრეველი

„უნივერსიტეტის გაზეთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, გაზეთი არა მარტო აშუქებს საუნივერსიტეტო ცხოვრებას, არამედ ახალსებს მას და პერსპექტივას უსახავს. ამას აკეთებდა რედაქცია ყოველთვის და დღესაც აგრძელებს ტრადიციებს. მე დღესაც სიამოვნებით ვკითხულობ თქვენს გაზეთს. ამისთვის მადლობა მინდა გითხრათ, რომ უამრავი საინტერესო პრობლემა გაზეთში წამოწეულია. ახლა გაზეთის ფურცლებზე ჩვენ ფართო გზა მივცით სტუდენტებს. დღესაც ვხედავ ამა თუ იმ სტუდენტზე სტატუსს, რასაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.“

ერთი სიტყვით, მინდა ვთქვა, რომ გაზეთი, რომელსაც 96 წელი შეუსრულდა, ეს არის მნიშვნელოვანი ორგანო, პირველ რიგში, უნივერსიტეტის ისტორიისათვის და ქვეყნის ისტორიისათვისაც.

ეს არის წყარო საქართველოს პირველი უნივერსიტეტის ისტორიისა. მე მაქვს დანერვილი უნივერსიტეტის ისტორია, რომლის სახელწოდებაც „ტაძარი“ წიგნის დაწერისას ვისარგებლე არა მარტო უნივერსიტეტის გაზეთით, არამედ იმ აღმანახლებით, იმ ათასგვარი წყაროთი, რომელიც მნიშვნელოვანი იყო. ასე რომ, ამ გაზეთს უდიდეს მისიას ვუკავშირებ, როგორც ისტორიკოსი და მეცნიერი“, – გვწერს აკადემიკოსი როინ მეტრეველი.



# წლის საუნივერსიტეტო მოვლენად დასახელდა საერთაშორისო კონფერენცია ჰააგის სასამართლოს ხუთი მოსამართლის, ქართველი და უცხოელი პროფესორების მონაწილეობით

ნატო ოზოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიისა და ევროპის რეგიონში უნიკალური სამეცნიერო კონფერენცია – „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო – მიმდინარე გამოწვევები და სამართლებრივი ასპექტები“ გაიმართა. კონფერენციაში, ქართველ და უცხოელ პროფესორებთან, სტუდენტებთან ერთად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ხუთი მოსამართლე მონაწილეობდა: ქართველი მოსამართლე გოჩა ლორთქიფანიძე, ფრანგი მოსამართლე მარკ პერინ დე ბრიშამბო, კანადელი მოსამართლე კიმბერლი პროსტი, ბრიტანელი მოსამართლე იოანა კორნერი, იტალიელი მოსამართლე როსარიო სალვატორე აიტალა.



ფრანგი მოსამართლე მარკ პერინ დე ბრიშამბო იყო ეუთოს გენერალური მდივანი, ფრანგული დელეგაციის წარმომადგენელი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების ხელმოწერისას და წლების განმავლობაში მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოში.

კანადელი მოსამართლე კიმბერლი პროსტი მუშაობდა უშიშროების საბჭოს ალ-ჟაიდას სანქციების კომიტეტის ომბუდსმენად და გახლდათ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მოსამართლე.

ბრიტანელი მოსამართლე იოანა კორნერი იყო იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის უფროსი პროკურორი, რომლის ფარგლებშიც არაერთი გახმაურებული საქმე აქვს განხილული.

იტალიელი მოსამართლე როსარიო სალვატორე აიტალა განიხილავს ისეთ საქმეებს, როგორებიცაა: დარფურის, უკრაინის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკისა და ავღანეთის შემთხვევები. მას აქვს მაფიასთან, ტერორიზმთან, ზოგადად, ტრანსნაციონალური და საერთაშორისო დანაშაულებთან ბრძოლის მრავალწლიანი გამოცდილება.

ქართველ მოსამართლეს გოჩა ლორთქიფანიძეს აქვს საერთაშორისო სამართლის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, 1991-2005 წლებში ეკავა სხვადასხვა მაღალი თანამდებობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და აქტიურად იყო ჩართული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მიღების პროცესში.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ორგანიზებული იყო თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტის მიერ ფოლკსვაგენის ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში და ხელმძღვანელობდნენ ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორი ედვარდ შრამი, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტისა და მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ბორის ბურგჰარდტი და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი გიორგი დგებუაძე.

„აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს საქართველოში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოზე ცნობიერების ამაღლებას. საქართველო 2003 წლიდან არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ, შესაბამისად, რატიფიცირებული აქვს რომის სტატუტი და ვფიქრობ, რომ მონაწილეობას მიიღებს იმ დისკუსიებში და იმ სამუშაო პროცესში, რომელიც მიმდინარეობს რუსეთ-უკრაინის ომიდან გამომდინარე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის შემდგომი სრულყოფისათვის. საქართველო არის ყველა საერთაშორისო დისკუსიის მონაწილე როგორც სამეცნიერო, ასევე დიპლომატიურ დონეზე და ვფიქრობ, რომ ეს ურთიერთობები საერთაშორისო საზოგადოებასთან სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების სრულყოფის მიმართულებით მომავალშიც გაგრძელდება“, – განაცხადა თსუ-ს პროფესორმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ მერაბ ტურავამ.

„ერთის მხრივ, რომის სტატუტს, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ყველა მხარე სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, მეორეს მხრივ, მხარე სახელმწიფოს სამართალი და სამართლებრივი სისტემები რომის სტატუტის 21-ე მუხლის მიხედვით, წარმოადგენენ სამართლის წყაროს, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. შესაბამისად, რომის სტატუტის სამართლის განვითარება ნიშნავს მხარე სახელმწიფოს სამართლის განვითარებას და პირიქით. ამ მიდგომის გამოხატულებაა, თუნდაც, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მოწვეული პროფესიონალების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სააპელაციო პალატაში, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად, ქართველი მონაწილე პროფესიონალების გამოჩენა უკვე ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. აღნიშნული პროგრამა წარმატებით გაიარეს უკვე თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ გიორგი დგებუაძემ და ვიადრინას სამართლის სკოლის დოქტორანტმა მარიამ ბეჟანიშვილმა“, – აღნიშნა ჰააგის სასამართლოს მოსამართლემ გოჩა ლორთქიფანიძემ.

სამეცნიერო კონფერენცია თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის გიორგი დგებუაძის პოსტსადაქტორო საგრანტო პროგრამის – „ინსტიტუციური ცვლილება და სოციალური პრაქტიკა. კვლევა პოლიტიკური სისტემის, ეკონომიკისა და საზოგადოების შესახებ ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“ – ფარგლებში ჩატარდა, რომელიც ბერლინის ჰუმბოლდტის, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის, მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებსა და ბილფელდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტთან ერთად ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტის მთავარი მიზანია საერთაშორისო სისხლის სამართლის როლის გაზრდა საქართველოში, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოსა და სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საერთაშორისო მართლმსაჯულების ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

„ამ პროექტის შემუშავებისას ვერ წარმოვიდგინეთ, რომ რუსეთი უკრაინაში ომს წამოიწყებდა, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტი კიდევ უფრო ძვირად იქნებოდა მიიღებდა... ეს ამ კონფერენციის მნიშვნელოვანი კონტექსტია, რადგან ე.წ. სამხრეთ ოსეთთან და ფაქტო საზღვარი თბილისიდან რამდენიმე კილომეტრშია, აზერბაიჯანამდე რამდენიმე ათეული კილომეტრი



საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოსა და რეგიონში მნიშვნელოვანია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და უკრაინის მოვლენების კონტექსტში. სტუდენტებს, მეცნიერებს, იურიდიულ და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სპეციალისტებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ რომის სტატუტის მოლაპარაკებების მონაწილეობით ერთად ემსჯელათ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების აქტუალურ საკითხებზე და ამ მიმართულებით საქართველოს გამოცდილებაზე

გვაშორებს, არც უკრაინა მდებარეობს საქართველოდან ძალიან შორს. შესაბამისად, მიამჩნია, რომ თბილისი სწორედ ის ადგილია, სადაც უნდა ვიმყოფებოდეთ და საერთაშორისო სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე ვმსჯელობდეთ. საერთაშორისო სისხლის სამართლის მოსამართლეს ტომას ბურმენტალს, რომელმაც ნაციტური საკონცენტრაციო ბანაკი გამოიარა, სჯეროდა მშვიდობის საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მეშვეობით. საქართველოს ხშირად უწოდებენ ევროპის აივანს და მე მომწონს ეს მეტაფორა... იმედია მაქვს, რომ ეს ქვეყანა არ დაზიანდება ისე, როგორც უკრაინა და განაგრძობს ევროინტეგრაციის გზას“, – აღნიშნა ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის პროფესორმა ედვარდ შრამმა, რომელიც ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდის პროექტის „საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში“ პარტნიორი და თანახელმძღვანელია.

ღონისძიებათა ციკლი სამეცნიერო კვლევის, საგანმანათლებლო, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნობრივ ჭრილში მიმდინარეობდა, რისთვისაც სამეცნიერო კონფერენციასთან ერთად სტუდენტებისთვის საზაფხულო სკოლა – „საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება – თეორიული და შედარებითი ასპექტები“ – გაიმართა. საზაფხულო სკოლის ფარგლებში მოხსენებებით ქართველი და უცხოელი პროფესორები და პრაქტიკოსი იურისტი ნარსდგენენ: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფესორი მერაბ ტურავა, მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი სტეფანი ბოკი, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტიდან პროფესორი ანეტე ვაინკე, ჰამბურგიდან სამართლის დოქტორი მაიელ ჰიერამენტე, ბრიტანელი ბარისტერი ადვოკატი ჰუსეინი, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტიდან პროფესორი ედვარდ შრამი, ბერლინის ჰუმბოლდტისა და მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტიდან პროფესორი ბორის ბურგჰარდტი.

„კონფერენციისა და საზაფხულო სკოლის მიზანია სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებში გააღრმავოს ცოდნა და დაინტერესება საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინისა და განსაკუთრებით სასამართლოების პრაქტიკის მიმართ. საერთაშორისო სისხლის სამართლის რო-

ლი საქართველოსა და რეგიონში მნიშვნელოვანია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და უკრაინის მოვლენების კონტექსტში. სტუდენტებს, მეცნიერებს, იურიდიულ და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სპეციალისტებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ რომის სტატუტის მოლაპარაკებების მონაწილეობით ერთად ემსჯელათ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების აქტუალურ საკითხებზე და ამ მიმართულებით საქართველოს გამოცდილებაზე“, – აღნიშნა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა გიორგი დგებუაძემ. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და საზაფხულო სკოლა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის შედარებითი და ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის ინსტიტუტთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის, ბერლინის ჰუმბოლდტის, მარბურგის ფილიპეს სახელობის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებსა და ბილფელდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტთან ერთად ფოლკსვაგენის სამეცნიერო ფონდმა განახორციელა. ფონდის პროექტი – „საერთაშორისო სისხლის სამართლის როლი საქართველოში“ – 2019 წელს დაიწყო და დღემდე მის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. პროექტის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორები, ადგილობრივი და საერთაშორისო სასამართლოების მოსამართლეები და ექსპერტები, მათ შორის, 2022 წელს გერმანიაში ჩატარდა საზაფხულო სკოლა, რომლის ფარგლებშიც ათობით ქართველ სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდა ცოდნა მიეღო საერთაშორისო სისხლის სამართლის კუთხით.

„ამ დროისთვის პროექტის ფარგლებში გერმანელ კოლეგებთან ერთად საერთაშორისო სისხლის სამართალში ინტენსიური და გრძელვადიანი სასწავლო კურსები მუშავდება, საერთაშორისო სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე რამდენიმე სამეცნიერო სტატია უკვე გამოქვეყნებულია. კონტაქტების წრე ფართოვდება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, აკადემიური პერსონალისთვის და იმედი გვაქვს, 2024 წელს, პროექტის დასრულების შემდეგ თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავა“, – ამბობს გიორგი დგებუაძე.



# ინესა მერაბიშვილის ახალი სემანტიკური სამკუთხედი, როგორც მნიშვნელოვანი ლინგვისტური მიგნება

ენოლოგია

„სიტყვის მნიშვნელობა და მისი ახალი სემანტიკური სამკუთხედი ლინგვოლოგიური და ფიზიოლოგიური ძირითადი“ – ამ სათაურით ნაიკიოტა ნ. დეკნაძის თავისი საჯარო ლექცია თსუს პროფესორმა, აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექცია მიეძღვნა ინესა მერაბიშვილის მიერ განვითარებულ იმ კონცეფციას, რომელზე დაყრდნობითაც მან გახსნა და ინგლისურ ენაზე თარგმანა გლაკტიონის პოეზია. აქედან გამომდინარე, სხდომა დაიწყო ვიდეო-რგოლით, რომელიც ასახავდა ლონდონში გლაკტიონის 120 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს და ინესა მერაბიშვილის ენობრივ თარგმანების ახალი კრებული პრეზენტაციას. ვიდეო-რგოლში ასახულია ინგლისელი პროფესორების, ლორდეისა და დიპლომატების გამოცხადებით, რომლებიც მალალ შეფასებას აძლევდნენ მის პოეტურ თარგმანს, ხოლო გლაკტიონის „სულის არისტოკრატად“ მოიხსენიებენ.

სხდომა გახსნა ფაკულტეტის დეკანმა ნანა გაფრინდაშვილმა, რომელმაც შთაბეჭდილება ისახურა ინესა მერაბიშვილის საზოგადოებრივ საქმიანობასა და აკადემიურ მიღწევათა მნიშვნელობაზე.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა თსუს რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას გამოსვლამ, რომელმაც ინესა მერაბიშვილის ლინგვისტური კონცეფციის მოკლე, მაგრამ სიღრმისეული ანალიზი წარმოადგინა.

ინესა მერაბიშვილმა თავისი გამოცხადებული მიზნები სიტყვეთი დაიწყო: „ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე – იქნება ეს ფილოსოფოსი, მწერალი თუ ენათმეცნიერი, ყველას აინტერესებს სიტყვის რაობა და მისი შესაძლებლობები. პირველად იყო სიტყვა... ადამიანი სიტყვით აზროვნებს და სიტყვით შეიმეცნებს სამყაროს. ამ თვალსაზრისით XX საუკუნეში გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა. 1923 წელს ლინგვისტმა ჩ. ოგდენმა და ფილოსოფოსმა ი. რიჩარდზმა ლონდონში გამოაქვეყნეს ერთობლივი ნაშრომი, სადაც სიტყვის მნიშვნელობა სემანტიკური სამკუთხედის სახით წარმოადგინეს. მიუხედავად ამ სამკუთხედის გვერდების ვარიაციისა, მისი ყველაზე მარტივი მოდელი შემდეგნაირია: სიტყვის სახელდება, რომლის ტერმინია ნომინაცია (N), ამ სიტყვაში ასახული ცნება, ანუ სიგნიფიკატი (S) და რეალური სამყაროს ასახვის საგანი ან საგანთა კლასი, რომელსაც დღეს მრავალი ტერმინით აღნიშნავენ, მათ შორის, რეფერენტი (R), დენოტატი (D) და

1923 წელს შექმნილ სამკუთხედს, წელს, 100 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღს ქართველი მეცნიერი ისევ დასავლეთის მიერ უკვე აღიარებული ახალი სემანტიკური სამკუთხედით დახვდა.



იქიდან, რომ ლინგვისტები ვეღარ კმაყოფილებოდნენ ენისა და აზროვნების ურთიერთობის საკითხით და ყურადღება ცნობიერებაზე გადაიტანეს, ინესა მერაბიშვილი სწორედ ენისა და ცნობიერების საკითხით დაინტერესდა არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ფიზიოლოგიური, ფილოსოფიური და ფსიქო-ლინგვისტური თვალთახედვით.

„დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. პავლოვის თეორიის კვლადკვალ ორ სასიგნალო სისტემაზე ქართველმა მეცნიერებმა მიაგნო იმ ფაქტის აღიარებას რუსი ფიზიოლოგის მიერ, რომ სიტყვაში, როგორც მეორე სასიგნალო სისტემაში, იდეალური ხატი არსებობს. ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც აზრობრივ, ასევე გრძნობით ხატს. გნოსეოლოგიაში, როგორც ასახვის თეორიაში, ხატი ფუნდამენტურ კატეგორიას წარმოადგენს და ითვალისწინებს როგორც აზრობრივ, ასევე გრძნობით ხატს. ცნება – აზრობრივი ხატი. ამ შემთხვევაში, უკვე ეჭვარეუბა, რომ სიტყვაში გრძნობითი ხატი ცნების, ანუ სიგნიფიკატის გვერდით აისახება. ამდენად, ეს ყოველივე საშუალებას მაძლევდა – არსებულ სემანტიკურ სამკუთხედში რეფერენტი (R), როგორც გარე სამყაროს საგანი, სწორედ ამ შეგონებითი ხატით ჩამენაცვლებინა. ახლა სიტყვის მნიშვნელობაში სამივე კომპონენტი უკვე ლინგვისტური მოვლენაა. გრძნობითი ხატის აღსანიშნავად მეცნიერებას შევთავაზებ ტერმინი – „ლინგვისტური ხატი“ (Linguistic image), უფრო მოკლედ „Image“ (ინგ. ხატი), რაც შესაბამისად „I“ ნიშნით გამოვსახებ. ფაქტობრივად, ხატის არსებობას აღიარებს ფიზიოლოგია, გნოსეოლოგია, მას ხედავენ და ეძებენ ფილოსოფოსები, ლინგვისტები, ლიტერატორები და ა.შ., მაგრამ ადგილი მისთვის სიტყვის მნიშვნელობის შიგნით არავის მიუჩენია. ასე მივიღე ახალი სემანტიკური სამკუთხედი, სადაც ნომინაციის (N) და სიგნიფიკატის (S) გვერდით განვათავსე ხატი – (I). სიტყვის მნიშვნელობის სამივე

## ახალი ვიცე-რექტორები უნივერსიტეტში



ერეკლე ასტახიშვილი

თსუს რექტორის ახალ მოადგილედ ერეკლე ასტახიშვილი დაინიშნა, რომლის პრიორიტეტული მიმართულებაც საერთაშორისო ურთიერთობების სფეროა.

ბატონი ერეკლე აქამდე, 2022 წლის დეკემბრიდან იყო ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი. 1995 წლიდან 2006 წლამდე ხელმძღვანელობდა თსუს-ს საგარეო ურთიერთობების ჯერ სამმართველოს, შემდეგ კი დეპარტამენტს.

„ჯერ ვეცნობი სიტუაციას, უნდა შევხედე ფაკულტეტების დეკანებსა და დე-

პარტამენტების ხელმძღვანელობას. მაქვს ერთი პრინციპი, რომელსაც ნებისმიერი უნივერსიტეტი იმედია, დაეთანხმება – ეს არის გუნდური მუშაობის პრინციპი. არ უნდა არსებობდეს ასეთი მიდგომა, რომ „ჩემი დეპარტამენტი“, „ჩემი ფაკულტეტი“, არსებობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ყველა საქმე უკავშირდება ამ უნივერსიტეტს. ჩვენ უნდა აღვიქვათ, რომ ყველაფერი სასიკეთო, რაც კეთდება, კეთდება ქვეყნისთვის და ჩვენი ახალგაზრდობისთვის, განათლების, მეცნიერებისა და, ბუნებრივია, უნივერსიტეტისთვის და არა კონკრეტულად ერთი დეპარტამენტისთვის, ფაკულტეტისთვის და ა.შ. ანუ გუნდური მუშაობის პრინციპი – ეს არის ჩემი მთავარი პრინციპი, რომელსაც მთელი ცხოვრება მივსდევ. ეს ამერიკელებმა მასწავლეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ჩიკაგოს უნივერსიტეტში – რომ „ჩვენ ვართ ერთი გუნდი“. სადაც კი მიმუშავია, ყველასთვის მინდოდა სწორედ ეს ამეხსნა“, – აღნიშნავს ერეკლე ასტახიშვილი.



კახაბერ ჭიჭიშვილი

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორობა არის უდიდესი პატივი და უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნივერსიტეტის წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე; ამავე დროს, შესაძლებლობაც, შენი ცოდნა, გამოცდილება და იდეები მოახმარო საუნივერსიტეტო საზოგადოების განვითარებას, უნივერსიტეტის იდეის მსახურებას. მაღლობა ამ შესაძლებლობისთვის რექტორს, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც ნდობა გამოამიჯნადა“, – ამბობს კახა ჭიჭიშვილი.

კომპონენტი დიალექტიკურ კავშირშია და აკმაყოფილებენ აქამდე მრავალ პასუხ-გაუცემელ შეკითხვას (არა მხოლოდ ენათმეცნიერების თვალსაზრისით). ბუნებრივია, კვლევა გაგრძელდება და სიტყვის მნიშვნელობის მრავალი ახალი პარამეტრი წარმოიჩნდება. თუმცა, მჯერა, რომ ყოველივე ამ მყარი სამკუთხედის ირგვლივ იტრიალებს. ხატი და ნომინაცია სიტყვაში უცვლელია, ცვალებადობას განიცდის მხოლოდ ცნება, რაც დაამტკიცა მიშელ ბრეალის თეორიამ და მისმა შემდგომმა განვითარებამ. ჩვეულებრივ მეცნიერებაში ხატი თითქოსდა ფსიქოლოგიურად, მაგრამ ექსპრესიულ და პოეტურ ტექსტში ავტორი მას ზედაპირზე ამოიყვანს და ასე ქმნის სიტყვიერ სასწაულებს. ასე შეიქმნა გლაკტიონის – „სტიროდა სული „ცისფერ ლეინოებს“, „ოცნება ნახსუს საგანთა უარით“, რუსთველის „ბროლი-დასში გაღაწვეს და გიშინი ანამნამეს“ და მრავალი სხვა“, – აღნიშნავს მეცნიერი.

სემანტიკური სამკუთხედის ეს ლინგვისტური კონცეფცია ინესა მერაბიშვილმა ჯერ კიდევ 1982 წელს, 41 წლის წინ გამოაქვეყნა საქართველოში, მაგრამ მისი აღიარება დასავლეთის მიერ დაიწყო 7 წლის წინ, როდესაც მასალა ლექსიკოგრაფთა მე-16 საერთაშორისო თბილისურ კონგრესზე გაიტანა და ის ინტერნეტის საშუალებით გავრცელდა. იქიდან მოყოლებული დღემდე გამოხმაურებები და პუბლიკაციათა შემოთავაზებები არ წყდება. ქართველი მეცნიერიც ნაყოფიერად მისდევს ამ გზას. ამიტომაც ნიუ-იორკის ლინგვისტურმა ფორუმმა ინესა მერაბიშვილი სარედაქციო საბჭოს წევრად გამოაცხადა.

1923 წელს შექმნილ სამკუთხედს, წელს, 100 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღს ქართველი მეცნიერი ისევ დასავლეთის მიერ უკვე აღიარებული ახალი სემანტიკური სამკუთხედით დახვდა.

საჯარო ლექციის დასასრულ გაცხადდა ის, რაც პროფესორმა ნანა გაფრინდაშვილმა სხდომის გახსნისას გამოაცხადა – „ინესა მერაბიშვილს შესწავლეს უნარი, რომ ყველა სამეცნიერო ლექცია დღესასწაულად აქციოს“.



ნანა გაფრინდაშვილი

ბატონი კახა საუნივერსიტეტო სერვისების განვითარების მიმართულებით აპირებს საქმიანობას – იქნება ეს ახალი პროფესიული თუ მომზადება/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების დაწესებულების განვითარებაზე ზრუნვა, უწყვეტი განათლების სისტემის უფრო მეტი აქტიუალიზაცია და პოპულარიზაციისათვის ხელშეწყობა, ახალი საგამომცემლო კონცეფციის შემუშავების პროცესის მხარდაჭერა, თსუს-ს სამუზეუმო მიმართულება, კარიერული განვითარება, საბავშვო უნივერსიტეტი და სხვა უკვე არსებული ან ახალი სერვისების შეთავაზება და მიწოდება საუნივერსიტეტო და ფართო საზოგადოებისთვის.

ახალი ვიცე-რექტორის კონკრეტული ინიციატივები და აქტივობები დაუკავშირდება როგორც საკუთრივ მისი საკურორტო მიმართულებების სამომავლო წარმატებას, ისე, ორიენტაციული იქნება თსუს რექტორის მიერ არაერთხელ გახდენილი კორპორაციული ერთიანობისა და მთლიანობის იდეის რეალიზაციისკენ.

# „ანტიკური კავკასიის“ ხუთტომეული ენციკლოპედიის გაციფრებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია

ნატო ოზოლაძე

თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში „ანტიკური კავკასიის“ ხუთტომეული ენციკლოპედიის პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან მოქმედი შავი და ხმელთაშუა ზღვების რეგიონის ცივილიზაციათა შემსწავლელ კომისიასა და საქართველოს საპატრიარქოს ქართველოლოგიური კვლევის ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა. „ანტიკური კავკასიის“ ენციკლოპედიის პირველი ტომი თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში, პროფესორ რისმაგ გორდეზიანის ხელმძღვანელობით, 2010 წელს გამოცემის შემდეგ დაამასშრულა. პირველ განყოფილებაში ძველდროსაგან ტექსტების თარგმანებია შესული: ხეთური, ასურული, ურარტული, სპარსული; მეორეში – ბერძნულენოვანი ორიგინალის წყაროები და თარგმანი ქართულ ენაზე; მესამეში – ლათინურენოვანი ორიგინალის წყაროები და თარგმანი ქართულ ენაზე; მეოთხეში კი – ბიბლიური ტექსტების ქართული თარგმანები.

„კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში „ანტიკური კავკასიის“ ენციკლოპედია ყველაზე მნიშვნელოვანია.

ეს ენციკლოპედია ცოცხალი ორგანიზმია, რის შესაქმნელადც დიდი შრომა ჩაიდო და მისი მუდმივად განახლება აუცილებელია. უკვე მიმდინარეობს ენციკლოპედიის გაციფრების პროცესი ქართველოლოგიური კვლევის ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში.

ვფიქრობ, ბევრი სტატიის დამატება დაგვჭირდება, განსაკუთრებით კარტოგ-



რაფიული მონაცემებიდან იქნება საჭირო ცალკეული ტოპონიმების, ცალკეული ადგილების შესახებ სტატიებით შევსება, გვექნება უცხოელი მეცნიერების მონაწილის საშუალება, მკვლევრების ნაწილმა უკვე გამოთქვა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. ძალიან საამაყოა, რომ ამ ენციკლოპედიაზე ჩემს მოსწავლეებთან და ახლა უკვე ჩემს კოლეგებთან ერთად

ვმუშაობ. ვფიქრობ, ადამიანისთვის ეს ყველაზე სასიხარულო გრძნობაა, – განაცხადა პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა.

„ანტიკური კავკასიის“ ენციკლოპედიის გამოცემა ჩვენი ინსტიტუტის დიდი მიღწევაა. ენციკლოპედია მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას ანტიკური კავკასიის შესახებ, ასახულია როგორც ბერძნულ-რომაულ, ისე აღმოსავლეთის უძველეს წყაროებში შემონახული ინფორმაცია. მოცემულია კავკასიის რეგიონის ამსახველი ტერმინოლოგიის ისტორია. ენციკლოპედიაში შესულია რუკები, პალეოგრაფიული მონაცემები, ეპიგრაფიკული მასალა, ანუ ყველაფერი, რაც კავკასიის შესახებ არსებობს, გაერთიანებულია. ვფიქრობ, ყველასთვის, ვინც ამ საკითხით არის დაკავებული, ეს ენციკლოპედია სამაგიდო წიგნი გახდება“, – აღნიშნა თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა.

„ანტიკური კავკასიის“ ენციკლოპედიის ხუთტომეული მრავალი წლის სამეცნიერო შრომის შედეგია. ის უმნიშვნელოვანესი, მსოფლიო მასშტაბის გამოცემაა და მზად ვართ შესაბამისი მხარდაჭერისთვის

პრეზენტაცია-განხილვას ენციკლოპედიის საგამომცემლო ჯგუფი, თსუ-ს ვიცე-რექტორი ერეკლე ასტახიშვილი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თსუ-ს ვიცე რექტორის ერეკლე ასტახიშვილის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ენციკლოპედიის ხუთტომეული ინგლისურ ენაზე ითარგმნოს და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდეს.

თარგმნის პროცესის მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა: „ანტიკური კავკასიის“ ენციკლოპედიის ხუთტომეული მრავალი წლის სამეცნიერო შრომის შედეგია. ის უმნიშვნელოვანესი, მსოფლიო მასშტაბის გამოცემაა და მზად ვართ შესაბამისი მხარდაჭერისთვის“, – აღნიშნა ქეთევან ქოქრაშვილმა.

„ანტიკური კავკასიის“ ენციკლოპედიის გაციფრებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია. პროცესს თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი ირინე დარჩია ხელმძღვანელობს.

## წლის მიღწევად წარმოდგენილი თემები თსუ-დან

ნინო პავლიაშვილი

თსუ-ს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისთვის იმართება რიგით მეექვსე ღონისძიება თემაზე – „წლის საუკეთესო მიღწევა“.

„ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობას იღებს საქართველოში არსებული 40-მდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, ისინი წარადგენენ პრეზენტაციას 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული მსოფლიო ერთი მნიშვნელოვანი მიღწევის შესახებ, რასაც ისინი განსაკუთრებულად მიიჩნევენ. შეხვედრის მიზანია, ხელი შეუწყოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის თანამშრომლობას და შევკრიბოთ სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლები ღია მეცნიერების პრინციპების პოპულარიზაციისთვის. ღონისძიება ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით“, – აღნიშნა თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ნინო პავლიაშვილმა.



პრეზენტაციები 2023 წელს განხორციელებული მსოფლიო ერთი მნიშვნელოვანი მიღწევის შესახებ

**წლის მიღწევა**  
• თსუ-ს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა – „ელექტრონული სერვისები ღია მეცნიერებისთვის“;

• თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი – შურნალი „ქრონოსი“ ERIH PLUS-ის აკადემიური შურნალების ევროპულ ბაზაში;

• თსუ-ს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი – კახეთის რეგიონის გეოგრაფიული ატლასი;  
• თსუ-ს ელევთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი – სქეტი-რი, ლიფტის გადასვლები და ორბიტალური დენები ფრუსტრირებულ ფერმი-

ონულ კიბეებზე ერთგვაროვანი მაგნიტური ნაკადის თანაობისას;  
• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – ამერიკაში მოღვაწე ქიმიური მრეწველობის ქართველი მეფის ჯორჯ კობის სახელობის მემორიალური მუზეუმის გახსნა მის მშობლიურ რაჭის მაღალმთიან სოფელში;  
• თსუ-ს ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი – ჰიპოთეზის დიფერენციალური განტოლებების ფუნდამენტური ამონახსნების ასიმპტოტური ანალიზი და მათი გამოყენებები;  
• თსუ-ს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი – კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები: ავტოტონი მოსახლეობა;  
• თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი – ტყუილის ანატომია;  
• თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი – საქართველოს ღვინის სამართალი;  
• თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – კოსმოლოგიური კონსტანტის განსაზღვრა მოვლენათა პორიზონტზე;  
• თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი – ბაზრის ეკონომეტრიკული მოდელის შეფასება შეზღუდული ინფორმაციის პირობებში;  
• თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტი – C ჰეპატიტის მიკროენიმიანია HIV/HCV კონფექციით პაციენტებში საქართველოში;

# წლის გამარჯვება, რომელიც თსუ-ს საკალათბურთო გუნდმა მოუტანა



მაია ტორაძე

2023 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და, უნივერსიტეტის ისტორიაში პირველად, ევროპულ სარბიულზე გავიდა. გუნდში საუკეთესო მოთამაშეების მობილიზებით და სწორი მენეჯმენტით თსუ ანგარიშგასაწიფი ძალა გახდა, როგორც საქართველოს, ასევე ევროპის საკალათბურთო სამყაროში.

თსუ-ს საკალათბურთო გუნდს ხელშეწყობა აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რაც გამოიხატება მათ მუდმივ მხარდაჭერაში. როგორც ჩვენთან საუბარში თსუ-ს კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსუ-ს საკალათბურთო გუნდის პრეზიდენტი ირაკლი ხარჯავანიძე ამბობს, 2023 წლის გამარჯვებებში უდიდესი ძალისხმევა ჩაიდო გუნდის ხელმძღვანელებისა და მოთამაშეების მხრიდან. „ეს წელი საინტერესო იმით იყო, რომ, უნივერსიტეტის 105-წლიან ისტორიაში პირველად, თსუ-ს საკალათბურთო გუნდმა მოიგო საქართველოს ჩემპიონატი, შემდეგ – ქვეყნის თასი და ბოლოს – სუპერ-თასი. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ, წელს პირველად უნივერსიტეტის ისტორიაში, ევროპაში გავედით, რითაც ძალიან გავახარეთ თსუ-ს სტუდენტები და გუნდის გულშემატკივრები“, – გვითხრა ირაკლი ხარჯავანიძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და კონკრეტულად თსუ-ს სპორტისა და კულტურის დეპარტამენტმა ქმედითი და საჭირო ნაბიჯები გადადგა გუნდის ჩამოყალიბებისა და, ზოგადად, ქართული კალათბურთის განვითარებისთვის. ამას ისიც მონიშნავს, რომ თსუ-ში საქართველოს ნაკრების ოთხი წევრი თამაშობს, ესენი არიან: გიორგი ტურძილაძე, გიორგი ცინცაძე, კახა ჯინჭარაძე და ალექსანდრე ფევაძე, რასაც ირაკლი ხარჯავანიძე მნიშვნელოვან ფაქტორად და ნარმატებად მიიჩნევს.

გუნდის შეკრება და მათი ერთი მიზნისთვის გაერთიანება მისი მენეჯმენტისა და სამწვრთნელო შტაბის დამსახურებაა. პროფესიონალიზმი – ესაა უმთავრესი მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც გუნდი დაკომპლექტდა, ამას დაემატა სწორი მენეჯმენტი და ყველა კომპონენტის გამართულობა.

„ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და ყველა პირობას ვქმნით იმისთვის, რომ გუნდის მოთამაშეებმა თავი კომფორტულად იგრძნონ – როგორც პროფესიონალებს შეეფერება. გუნდში ყველა ვთანხმდებით, რომ თსუ – ესაა კალათბურთის პროფესიონალური გუნდი და მიზნისკენ მიმავალ გზაზე მიდგომები უნდა იყოს ერთნაირი. აქ ჩართულია საერთაშორისო ურთიერთობებიც და პირადი კონტაქტებიც, შედე-

გად კი, ვახერხებთ გავახაროთ გულშემატკივრები“, – ამბობს ირაკლი ხარჯავანიძე. თსუ-ს საკალათბურთო გუნდს დიდი ისტორია აქვს. განვითარების გზაზე მას ჰქონდა გამარჯვებებიც და ჩავარდნებიც, ისეთი დროც იდგა, როცა გუნდი უმაღლესი ლიგიდან გამოვარდა და, ფინანსური პრობლემების გამო, დაიშალა. სამწლიანი წყვეტის შემდეგ, 2016 წელს, კომპანია „ჰიუნდაის“ მხარდაჭერით, თსუ-ს საკალათბურთო გუნდი ისევ აღდგა და დიდ ასპარეზობებში ჩაერთო.

### ირაკლი ხარჯავანიძე: ჩვენ ამ უნივერსიტეტის მუხდირი გვაცვია და მას ვუფრთხილდებით

ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული გუნდის პრეზიდენტი ირაკლი ხარჯავანიძე, რომელიც იხსენებს, რომ თითოეული ასპარეზობა დიდ ემოციურ ფონს ქმნის და დამარცხების შემდეგ გამარჯვებისთვის მზადება კოლოსალურ ენერჯიას და ძალისხმევას მოითხოვს: „აღამიანებს ჰგონიათ, რომ ნარმატება თავისით მოდის. რეალურად კი ამას ძალიან ბევრი შრომა და ენერჯია სჭირდება. თუ გუნდის ყველა რეგული გამართული არ არის, ნარმატებას ვერ მიაღწევ. ცხადია, ჩემთვის ეს ძალიან რთულია, მაგრამ, როდესაც გულშემატკივრებისაგან ამხელა ემოცია მოდის, სხვა პასუხისმგებლობას გრძნობ გუნდის ფანკლუბისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე. ჩვენ ამ უნივერსიტეტის მუხდირი გვაცვია



და მას ვუფრთხილდებით“, – ამბობს ირაკლი ხარჯავანიძე.

მოპოვებული ნარმატებებისთვის თსუ-ს საკალათბურთო გუნდი მედლებით, ხოლო მისი პრეზიდენტი უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა. მათთვის ეს დიდი პატივია და კარგად აჩვენებს, რომ ერთიანობა გუნდში მიზნისკენ სვლას ამარტივებს, ის თავგანწირვა კი, რომელიც თსუ-ს საკალათბურთო გუნდის მოთამაშეებმა და ხელმძღვანელებმა აჩვენეს, უნივერსიტეტის და, ზოგადად, ქართული საქმიანობის ერთგულებაა. „ეს არ იყო ერთი აღამიანის ან მხოლოდ გუნდის ნარმატებები. ამ გამარჯვებებში თავისი წვლილი შეიტანეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა და გუნდის ფანკლუბმა, რომელთა მხარდაჭერას მოედანზეც და მის გარეთაც ვგრძნობდით. მაღლობა იმისთვის, რომ ჩვენი ძალისხმევა დაინახა უნივერსიტეტმა, რეკტორმა, კანცლერმა და თითოეულმა იმ აღამიანმა, ვისაც გულწრფელად გაუხარდა ეს ჯილდოები“, – აღნიშნა გუნდის პრეზიდენტმა.

### ირაკლი ხარჯავანიძის საახალწლო სურვილი

ირაკლი ხარჯავანიძე საახალწლო სურვილებშიც კი საკალათბურთო გუნდზე ფიქრობს. ჩვენს კითხვაზე – თუ რას ინატრებდა მომავალ წელს, დაუფიქრებლად გვიპასუხა, რომ მისთვის სანატრელი თსუ-ში თანამედროვე სპორტული დარბაზის გახსნაა: „როცა უნივერსიტეტში 25000-მდე სტუდენტი სწავლობს და გყავს ორი ნარმატებული გუნდი კალათბურთისა და გოგონების ფრენბურთში, ერთი თანამედროვე სტანდარტების სპორტული დარბაზი უნდა გქონდეს. ჩემი ოცნებაა – აშენდეს და მუდმივად ჰქონდეს თავისი ბაზა უნივერსიტეტის გუნდებს, მათ შორის ფუტსალის გუნდსაც. ყველამ ერთად უნდა განვაავითაროთ ქართული კალათბურთი (სხვა გუნდური სახეობები) და გამარჯვებისკენ ნავიყვანოთ ჩვენი უნივერსიტეტი!“

გუნდის შეკრება და მათი ერთი მიზნისთვის გაერთიანება მისი მენეჯმენტისა და სამწვრთნელო შტაბის დამსახურებაა. პროფესიონალიზმი – ესაა უმთავრესი მახასიათებელი, რომლის მიხედვითაც გუნდი დაკომპლექტდა, ამას დაემატა სწორი მენეჯმენტი და ყველა კომპონენტის გამართულობა.



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



### საახალწლო სტუდენტური საუბრები

სურვილები, რაც  
უნივერსიტეტს  
უკავშირდება

8 გვ.

### ტარიელ ხარხელაური სტუდენტებს შეხვდა

დროს არ მისცეთ უფლება  
– გაგწვრთნათ, დრო  
თავად განვრთენით!

9 გვ.

### თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა სალინაძე სტუდენტთა სურვილებს ეხმაურება

რა კეთდება  
უნივერსიტეტში

10 გვ.







# დროს არ მისცეთ უფლება – გაგწვრთნათ, დრო თავად გაწვრთენით!

## უნივერსიტეტმა ტარიელ ხარხელაურს უმასპინძლა

**თ**ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაერთი ღირსეული ადამიანი აღუზრდია და სწორედ მათ სიაშია პოეტი ტარიელ ხარხელაური, რომელიც არასდროს ივინყებს მშობლიურ უნივერსიტეტთან კავშირს. ამ კედლებში, რომელსაც ის დღეს სალოცავს უწოდებს, ტარიელ ხარხელაურმა ცხოვრების რამდენიმე საინტერესო წელი გაატარა და ამიტომაც პირველივე დაძახებაზე მოდის, რომ კვლავ „ეახლოს“ სათაყვანებელ უნივერსიტეტს, დიდებულ მასწავლებელთა ანდრეებს, ახალგაზრდობის წლებს...

ასე იყო 13 დეკემბერსაც – უნივერსიტეტის სტუდენტობის წინაშე წარსდგა პოეტი, რომლის სიტყვას დღეს დიდი ძალა აქვს და ერთნაირად უყვარს ყველა თაობას.

ტარიელ ხარხელაურთან შეხვედრა მრავალფეროვანი აღმოჩნდა. სანამ მსმენელის და მისი მკითხველის წინაშე თავად პოეტი წარსდგებოდა, თსუ-ს თეატრალურმა დასმა – „სხვენი“ – მაყურებელს ტარიელ ხარხელაურის ბიოგრაფიის მიხედვით დადგმული სპექტაკლი წარუდგინა. ტარიელ ხარხელაური წარმომავლობით, ბუნებითა თუ პოეზიით მთასთან დაკავშირებული პოეტია. ამიტომაც სცენაზე მთის მოტივებზე შექმნილი ქართული ტრადიციული ცეკვა თსუ-ს მოცეკვავეთა ანსამბლმა შეასრულა. ტარიელ ხარხელაურის ლექსებზე არაერთი მუსიკაა შექმნილი და ერთ-ერთი მათგანი „მამაჩემო – თოვლის ფერო“, ხალხური საკრავების თანხლებით, თსუ-ს ფოლკლორულმა ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“ იმღერა.

ტარიელ ხარხელაურის სიყვარული ახალგაზრდობის მიმართ დარბაზშიც იგრძნობოდა და ეს განწყობა ორმხრივი იყო – ახალგაზრდებს უყვართ, პატივს სცემენ და კარგად იცნობენ მის შემოქმედებას. ალბათ, სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ თსუ-ს ბიბლიოთეკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის თანამშრომლობით მოეწყო შეხვედრა საყვარელ პოეტთან.



ლონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორის **ლუკა მამალაშვილის** თქმით, ამ საღამოს ჩატარების მთავარი მიზეზი პოეტისადმი სიყვარულია ყველა თაობის წარმომადგენლებში. მისი თქმით, ტარიელ ხარხელაური ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა უნივერსიტეტისა და ახალგაზრდობისთვის. როგორც ლუკა ამბობს,



პრიორიტეტული საკითხია ღირსეული უნივერსიტეტები დააფასონ, მათთვის უნივერსიტეტის კედლებში შექმნიან სასიამოვნო გარემო და აგრძნობინონ, რომ აქ ისინი დაფასებულნი და პატივსაცემნი არიან.

ხარხელაურთან შეხვედრის იდეასა და მიზანზე გვესაუბრა თბილისის სახელ-

მწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ზურაბ გაიპარაშვილი. მისი თქმით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ერთ-ერთ მთავარ მისიას ჭეშმარიტი ლიტერატურის პოპულარიზება წარმოადგენს. ამ მიმართულებით იდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები, ხორციელდება პროექტები.

საღამოს დასკვნით ნაწილში სცენა პოეტს დაეთმო.

„მადლობა, რომ თქვენთან ერთად მგზავრობის ღირსი გამხადეთ“, – ასე გამოხატა მადლიერება პოეტმა შეკრებილი აუდიტორიის წინაშე, რომლის უმეტეს ნაწილსაც სტუდენტები, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები შეადგენდნენ. ჩვენთან საუბრისას ბატონი ტარიელი ამბობს: „თქვენი თაობა, ჩემი შვილიშვილების თაობა, ის თაობაა, რომელსაც შეიძლება სამშობლო ჩააბარო, იმ ღირებულებებით, რაც ჩვენ გაგვანია. სამყარომ ჩვენგან უნდა ისწავლოს სიყვარული. სიყვარული ქართველი კაცის კუთვნილებაა“. ბატონმა ტარიელმა სტუდენტებსა და უნივერსიტეტს ასეთი სურვილი დაუთოვა – „შეიცანით უნივერსიტეტი, დროს არ არ მისცეთ უფლება – გაგწვრთნათ, დრო თვითონ გაწვრთენით! უნივერსიტეტი ჩვენს გენეტიკაში სხვა დატვირთვაა – უნივერსიტეტი უნდა იყოს იმ სიმალეზე, როგორც ჩვენს რეალობაში დამკვიდრებული, ამას თქვენს თაობას ანდერძად გიტოვებთ!“

*ნინო ჯანჯალაშვილი*

*თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი*

## სტუდენტური ქრონიკა

500-ზე მეტი პროფესიული ვაკანსია წარმოადგინა 50-ზე მეტმა კომპანიამ და დასაქმების სააგენტომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტურ დასაქმების ფორუმზე.

კომპანიებმა თსუ-ს სტუდენტებისთვის **500-ზე მეტი პროფესიული ვაკანსია** წარმოადგინეს.

დასაქმების ფორუმში თსუ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 1000-მდე სტუდენტი და კურსდამთავრებული მონაწილეობდა, რომელთაც დამსაქმებლებთან შეხვედრის პარალელურად შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სტუდენტთა კარიერული ცენტრის კარიერულ კონსულტირებაში.

ფორუმის პარალელურად ჩატარდა ნამახალისებელი გათამაშება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის.

თსუ-ში დასაქმების ფორუმში სისტემატურად იმართება. მასში ყოველწლიურად მონაწილეობს ათასამდე სტუდენტი და კურსდამთავრებული, რომელთა 60 % -ზე მეტი გასაუბრების შემდეგ კარიერას იწყებს სხვადასხვა კომპანიაში.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რვა პროფესიულ პროგრამაზე, თბილისსა და ქუთაისში, 400-ზე მეტი სტუდენტი ისწავლის**. პროფესიული პროგრამების სტუდენტს შორის არიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, რომელთაც ახალი პროფესიის დაუფლება სურთ.

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ პროფესიული განათლების ცენტრის სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და ამ პროგრამების მნიშვნელობას ქვეყნისთვის ხაზი გაუსვა. „სწორად, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ამ ინსტიტუტის საშუალებით იღრმავებენ ან ეუფლებიან ახალ პროფესიებს სხვადასხვა მიმართულებით. შრომის ბაზარზე ამ ადამიანებზე მოთხოვნა ძალიან მაღალია“.

პროფესიული განათლების ცენტრის სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა სალინაძემ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა შოთა ფოთოლაშვილმა, თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა კახაბერ ჭიჭიშვილმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა.

თსუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები 2007 წლიდან ხორციელდება. თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული პროგრამა სახელმწიფოს მიერ 100 %-ით ფინანსდება.

\*\*\*

თსუ-ში სკოლის მოსწავლეებისთვის **ახალი პროექტი იწყება**, რომლის ინიციატორებიც თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები არიან. ამ მიზნით, ისინი შეხვდნენ თსუ-ს რექტორს, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას და იღებენ გადაწყვეტას.

პროექტი ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პოპულარიზაციასა და სკოლის მოსწავლეების თსუ-ში მოზიდვას.

თსუ-ს რექტორმა მხარი დაუჭირა სტუდენტების საქმიანობას უნივერსიტეტის პოპულარიზაციის, ახალგაზრდებში დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების და მათთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გაღრმავებისთვის.

შეხვედრას თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი სალომე დუნდუა ესწრებოდა.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა დიდი წარმატებით იასპარეზა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ლტოლვილთა სამართლის საერთო ევროპულ საერთაშორისო იმიტირებულ სასამართლოს პროცესზე და დაიკავა მეორე ადგილი!

იმიტირებულ პროცესი ეფუძნება ICRC-თან და UNHCR-თან თანამშრომლობით შემუშავებულ ჰიპოთეტურ საქმეს, რომელიც ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარული და ლტოლვილთა სამართლის ყველაზე აქტუალურ საკითხებსა და გამოწვევებს, ისევე, როგორც მიმდინარე კრიზისულ სიტუაციებს. შეჯიბრის მიზანია დაეხმაროს სტუდენტებს საერთაშორისო ჰუმანიტარული და ლტოლვილთა სამართლის ფუნდამენტური კონცეფციების შესწავლაში კონკრეტული სამართლებრივი პრობლემების განხილვის საშუალებით და გაეუმჯობესოს მათი სამართლებრივი არგუმენტაციის პრაქტიკული უნარები გამოცდილი მოსამართლეებისა და დარგის სპეციალისტის პანელისტების წინაშე გამოსვლის მეშვეობით.

2023 წელს გუნდი დაკომპლექტდა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ. გუნდს წარმოადგენდნენ იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლისა და სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები – **მარიამ გუგავა, ხატია ჭიჭინაძე და შალვა ხიზანიშვილი**. გუნდს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული – **სულიკო ჟღენტი**, რომელიც თავად არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი იმიტირებული სასამართლოს პროცესის მონაწილე და გამარჯვებულია. წელს საერთაშორისო რაუნდებში მონაწილეობას იღებდა ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების 16 გუნდი. თსუ-ს გუნდმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მოდელირებაზე დაფუძნებულ ფინალურ რაუნდებში იასპარეზა საბერძნეთისა და სლოვაკეთის გუნდების წინააღმდეგ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კლუბი **„პოლიტიკური სკოლა“** დაფუძნდა, რომლის ორგანიზატორები თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტები არიან.

კლუბის დაფუძნება სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მიულოცა, მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა და კლუბის პროექტების განხორციელებაში მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა.

სტუდენტური ინიციატივის მიზანია პოლიტიკური თვითშეგნების ამაღლებისა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების საკითხში წვლილის შეტანა. კლუბში განეწიანება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია.



# უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კვების ობიექტები საკუთარი რესურსით გახსნას

**გვისაუბრებს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა სალინაძე:**

„მიმდინარე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ კორპუსებში კვების ობიექტების გახსნის მიზნით აუქციონი ორჯერ გამოცხადდა მას შემდეგ, რაც ძველ კონტრაქტორ კომპანიასთან ხელშეკრულება მათი თხოვნის საფუძველზე შეწყდა. სამწუხაროდ, ორივე აუქციონი ჩაიშალა – უარყოფითი შედეგით დასრულდა. შესაბამისად, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ კვების ობიექტები საკუთარი რესურსით გახსნას, რისთვისაც ჩვენ უკვე ავიყვანეთ შესაბამისი დარგის სპეციალისტი. მან უკვე მოიძია კვების ობიექტის ამუშავებისთვის საჭირო კადრები. მიმდინარეობს

სტრუქტურის სისტემური გამართვა, ბაზრის კვლევა, შედგენილია მენიუ და პროდუქტების შესყიდვის მიზნით უახლოეს პერიოდში გამოცხადდება ტენდერი. პირველ ეტაპზე, მომავალი წლის თებერვლის ბოლოს, ორი კვების ობიექტი მე-10 (მაღლივ) და მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსებში მოეწყობა, მომდევნო ეტაპზე ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე კორპუსებს მოვიცავთ და აქ პირველი კვების ობიექტი მეორე კორპუსში განთავსდება.

ალსანიშნავია, რომ აუქციონის შედეგად გამარჯვებულმა კომპანიამ თსუ-ს ყველა კორპუსში უკვე განათავსა საეჭრო აპარატები, საიდანაც ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს შეიძინოს ცივი/ცხელი სასმელი და სხვადასხვა სახის ტკბილეულობა თუ „სასუსნავი“.



# რა ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება თსუ-ში?



**გვისაუბრებს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა სალინაძე:**

„თსუ-ს მეორე აკადემიური კორპუსის რეაბილიტაცია დასრულდა და ახლა მცირე ტექნიკური სამუშაოები მიმდინარეობს.

იანვრის დასაწყისისთვის მეექვსე სასწავლო კორპუსის ფასადისა და კიბის უჯრედების რეაბილიტაცია დასრულდება.

ამ დროისთვის მიმდინარეობს განმეორებითი კონკურსი პირველი და მეორე კორპუსების უკან ახალი სასწავლო-ადმინისტრაციული შენობის პროექტირებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ კონკურსზე განაცხადების შემოტანის ბოლო ვადა 10 იანვარს სრულდება და უკვე კონკრეტულად გვეცოდინება – რა სახის საკონკურსო პროექტები იქნება წარმოდგენილი. კონკურსის პირველ ეტაპზე საბოლოო მონონება ვერცერთმა პროექტმა ვერ დაიმსახურა.

შესაბამისი ინფრასტრუქტურა განთავსდა და კეთილმოეწყო პირველი კორპუსის შიდა ეზოები. თსუ-ს ყველა კორპუსში გვაქვს ახალი სტუდენტური სივრცეები,

რომელიც უზრუნველყოფილია შესაბამისი ავეჯით და სტუდენტებს საშუალება აქვთ – ლექციების შუალედში თუ ლექციების შემდეგ თავისუფალი დრო მყუდრო და კომფორტულ გარემოში გაატარონ.

დასასრულს უახლოვდება თსუ-ს ეკონომიკის ინსტიტუტისა და თსუ-ს პროფესიული განათლების ცენტრის ახალი შენობის საპროექტო სამუშაოები, რომლის შემდეგაც ტენდერი გამოცხადდება შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

თსუ-ს მაღალი ენერჯიების ფიზიკის ინსტიტუტის ტერიტორიაზე, ერთ ფლიგელში, დასრულდა გამაგრებისა და რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია და ის, შესაბამისი ნებართვის მიღების შემდეგ, სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაიწყებს. შედეგად გვექნება ახალი სივრცე სტუდენტური საერთო საცხოვრებლისთვის.

ბაგების საერთო საცხოვრებლის ორივე კორპუსში სველი წერტილებისა და სამზარეულო სივრცეების რეაბილიტაცია განახორციელდა. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მანამდე არსებულ ინფრასტრუქტურულ გარემოს.

ასევე, გვექნება თსუ-ს სასწავლო კორპუსების სახურავების პრობლემა და რამდენიმე ასეული კვ.მ. სივრცის გადახურვა განხორციელდა, რაც გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენდა. საგამოცდო ცენტრში განხორციელდა გარკვეული სამუშაოები, რის შედეგადაც სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო. მე-5 სასწავლო კორპუსშიც მიმდინარეობს რიგი სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც დეკემბრის ბოლომდე დასრულდება. ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება 2024 წლისათვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რის შესახებაც დამატებით გაცნობებთ“.

*მოამზადა ნატო ობოლაძე*

# „TSU – ქველმოქმედება“ – ამ სახელწოდების ახალი სტუდენტური ფეისბუქ-ჯგუფი შეიქმნა

6060 ჯაჟალია

„TSU students“ – ასე ჰქვია შექმნილ ჯგუფს სოციალურ ქსელში, რომელსაც 31 000-მდე მომხმარებელი ჰყავს. ამ ჯგუფს ამჟამად კურირებს თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულების მე-5 კურსის სტუდენტი გიგა ბენია, რომელსაც ჯგუფის მართვაში სტუდენტები – ლიკუნა გაჩეჩილაძე და ვაჟა ღურნაია ეხმარებიან.

სიახლეა ის, რომ ამ სტუდენტების ინიციატივით, სულ რამდენიმე დღის წინ, შეიქმნა ახალი დახურული ფეისბუქ-ჯგუფი სახელწოდებით „TSU – ქველმოქმედება“, რომლის ლოზუნგია: „არაფერია იმაზე კარგი შეგრძნება, რასაც სიკეთის კეთებისას შეიგრძნობს ადამიანი“. როგორც ჩვენთან საუბარში გიგა ბენია განმარტავს, ახალი დახურული ჯგუფის შექმნის მიზანია სტუდენტებისთვის მათი სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფინანსური დახმარების განევა, გარდა იმისა, რომ სტუდენტთა ეს გუნდი უნივერსიტეტის სტუდენტებს ყველა მათთვის საჭირო კითხვებზე ინფორმაციას აწვდის.

„TSU students – ამ ჯგუფის შექმნის არსი ის არის, რომ, თუნდაც, პირველკურსელებს ან ნებისმიერი კურსის სტუდენტს დახმარება გავუწიოთ ბევრ საკითხში, რაზეც მათ ინფორმაცია, ხშირ შემთხვევაში,

არ აქვთ. მე რომ ვიყავი პირველკურსელი, ვერ გავერკვიე გამოცდების სტრუქტურაში და ჩემი შესაბამისი შეკითხვების გამოქვეყნების შემდეგ სწორედ ეს ჯგუფი დამეხმარა გზის გაკვალვაში.

ჯგუფში დღეს ბევრი სტუდენტი წერს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უჭირს, არ აქვს ტანსაცმელი, საჭმელი და ა.შ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ ახალი ჯგუფის გაკეთება ქველმოქმედებისთვის. ჩვენ სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად უნდა მოვახდინოთ ხოლმე იდენტიფიცირება ამ ჯგუფში დანერგილი




მომართვიანობის ავტორებისა. მხოლოდ თსუ-ს სტუდენტებს იმიტომ ვეხმარებით, რომ მათი იდენტიფიცირება შესაძლებელია ჩვენ მიერ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ წერილს ბევრი აგზავნის ანონიმურად“, – ამბობს გიგა ბენია.

როგორც გავარკვიეთ, მაგალითად, ერთ-ერთი სტუდენტის მიერ ჯგუფში გამოქვეყნებული წერილის საფუძველზე გიგა ბენიას ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი დაუკავშირდა და გამოთქვა დახმარების სურვილი. ჯგუფის მოდერატორების შუამდგომ-

ლობით ეს სტუდენტი უკვე ყოველთვიურ დახმარებას იღებს აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციისგან.

„ეს თავისუფალი ჯგუფია და ყველას შეუძლია დაეხმაროს ერთმანეთს. ჩვენ ეს ჯგუფი მოხალისეობის ფორმატით ვვაქვს შექმნილი და არავისზე დამოკიდებული არ ვართ“, – აცხადებს ჩვენთან საუბრისას გიგა, რომელსაც ადამიანების მხრიდან უნივერსიტეტის სტუდენტების დახმარებისადმი კეთილი ნების გამოხატულების იმედი აქვს.

## თსუ-ში სტუდენტური საახალწლო მეჯლისი გაიმართება





# საახალწლო სუფრის გაშლა ყველას შეუძლია, მთავარია – რა იქნება ამ სუფრაზე?!

ა-11 მ-და

ამ ფონზე, საგულისხმოა ის, რომ საქართველო არ ჩაება საომარ მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, რომ ემოციური ფონი ძალიან რთული იყო და პროვოკაციული ხაფანგებიც მრავლად იყო დაგებული... ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობამ მოახერხა ქვეყნის განვითარება წაეყვანა მშვიდობიანი გზით, რის შედეგადაც საკმაოდ კარგი შედეგები დაიღო: საქართველო ერთ-ერთი მონივნავე ქვეყანაა მსოფლიოში ეკონომიკური ზრდის კუთხით. მაგრამ, არის თუ არა ეს მდგომარეობა ისეთი, რომ მოსახლეობამ შევებით ამოისუნთქოს?! ობიექტურად თუ შევხედავთ სიტუაციას, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის, რადგან მოსახლეობა კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაშია, რადგანაც შეჭირვებულ ადამიანებს, წლების განმავლობაში, საკმაოდ ბევრი პრობლემა დაუგროვდა. ამ ფონზე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გადაწყვეტილებები, რომელიც მიღებულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. გარკვეულწილად, კომპენსირება გაუკეთდება ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც აქვს მოსახლეობას. საუბარია იმაზე, რომ მთავრობამ აიღო ვალდებულება – ყოველწლიურად საჯარო სექტორში ხელფასები 10%-ით გაიზარდოს. გარდა ამისა, მიღებულ იქნა მთელი რიგი სოციალური პაკეტები სხვადასხვა მიმართულებით. ამ ეტაპზე გაიზარდა არა მხოლოდ ხელფასები, არამედ პენსიაც. ზრდა არის გათვალისწინებული სხვადასხვა მუშაკებისთვის და, რაც მთავარია, ძალიან დიდი კომპონენტი ჯანდაცვის დაფინანსებისა მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო. სერიოზული ფასდაკლებით შეუძლია მოსახლეობას თურქული წარმოების მედიკამენტების ყიდვა... ამის არ დანახვა დაუშვებელია! რა თქმა უნდა, ადამიანებს უნდათ „მეტი“ და „უფრო სწრაფად“, მაგრამ ასე სწრაფად ეკონომიკური და სოცი-



ალური სიტუაციის რადიკალური შეცვლა, როგორც წესი, ვერ ხერხდება.

### პლიც-ინტერვიუ

– ქართველი კაცი შეიძლება მომთმენი იყოს ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ მისთვის ახალი წელი გამორჩეული დღესასწაულია და სურს, რომ საახალწლო სუფრა მრავალფეროვანი იყოს. ეს სიახლოვება წლიდან წლამდე უფრო ძვირი ჯდება...  
– ახალი წელი ყოველთვის ძვირი უჯდება ხალხს. ყველა ადამიანს აქვს სურვილი, რომ საახალწლო სუფრა, რაც შეიძლება, კარგად იყოს წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, მოთხოვნა იზრდება წინა საახალწლო დღეებში ყველა იმ პროდუქტზე, რომელიც საახალწლო სუფრისთვისაა განკუთვნილი, რაც ზრდის ამ პროდუქტების ფასებს... სიტუაციურად სწორედ ამის

გათვალისწინებით არის, რომ მთავრობა ცდილობს – ის პრობლემები, რომლებიც დაგროვდა 2023 წელს, უფრო შემსუბუქდეს 2024 წელს.  
– ყველას შეუძლია საახალწლო სუფრის გაშლა, თქვენი აზრით?  
– საახალწლო სუფრის გაშლა ყველას შეუძლია, მთავარია – რა იქნება ამ სუფრაზე?! ყველას ერთნაირი სუფრა არც არასდროს ჰქონდა და ვერც ვერასდროს ექნება... ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინდა, რომ უკეთესი მდგომარეობა იყოს, მაგრამ ამას გარკვეული დრო და საყოველთაო ძალისხმევა ესაჭიროება.  
– თქვენ რას ელოდებით 2024 წლიდან?  
– 2024 წელი საკმაოდ რთული წელია: შემოდგომაზე დაგეგმილია საპარლამენტო არჩევნები, იქნება დიდი პოლიტიკური დაპირისპირება, სხვადასხვა პოპულისტური დაპირებები, მაგრამ მთავრობას ადებული აქვს რეალური კურსი იმასთან დაკავშირებით, რომ გაზარდოს მოსახლე-



ლადო პაპავა

ობის შემოსავლები, რაც უკვე დაგეგმილია კიდევ.  
– პროფესორებისთვის ხელფასების ზრდაზე რა შეგიძლიათ თქვათ?  
– იმისთვის, რომ პროფესორების ხელფასები გაიზარდოს ისევე, როგორც იზრდება საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების ხელფასები, მაშინ სახელმწიფო უნივერსიტეტები საბიუჯეტო დაფინანსებაზე უნდა გადაიყვანონ. ჩვენ გვაქვს საგრანტო სისტემა, ანუ რამდენად ბევრ სტუდენტს მოიზიდავენ უნივერსიტეტები, მით მეტ ფულს მიიღებენ ისინი... ამ შემთხვევაში პროფესორებისთვის ხელფასების ზრდა დამოკიდებულია უნივერსიტეტში შემოსულ თანხებზე. ამ ეტაპზე მე წამდვილად გამიჭირდება თქმა – რა შეიძლება გაითვალისწინონ უნივერსიტეტებმა (რა თქმა უნდა, სახელმწიფო უნივერსიტეტებს ვგულისხმობ). ერთი სტუდენტის წლიური საფასური 2250 ლარია, რაც, აგერ უკვე 15 წელია, არ შეცვლილა... გამოსავალი ისევ და ისევ სახელმწიფო უნივერსიტეტების სრულ საბიუჯეტო დაფინანსებაზე გადაყვანასთანაა დაკავშირებული.

## თსუ-ს პროფესორებს რა საახალწლო სურვილები აქვთ, რაც უნივერსიტეტს უკავშირდება?

უნივერსიტეტის ყველა პროფესორს თავისი ჩანაფიქრი და სურვილი აქვს, რაც ამ კედლებში მათ ყოვლისმომცველ საქმიანობას უკავშირდება. სურვილების „შეგროვებას“ გაზიარებთ თბილისის უნივერსიტეტი“ ახალი, 2024 წლის განმავლობაშიც შეეცდება, რადგან გამოხატულ სურვილებში ყოველთვის ჩანს პროფესორის პოზიციაც და მისწრაფებებიც, რაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გასათვალისწინებელია. აკადემიური საზოგადოების ყველა წარმომადგენელმა სურვილებთან ერთად ყველა უნივერსიტეტელს ახალი 2024 წელი მიულოცა და წარმატებები, წინსვლა, ბედნიერება უსურვა... ჩვენ კი ყოველ მათგანს სურვილების ახდენას ვუსურვებთ და ვალს ვიხდით იმით, რომ თითოეული ჩანაფიქრის თაობაზე გადამწყვეტილების მიმღებმა და განმარტებელმა პირებმა იცოდნენ...

**თამარ ზარანდია**, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი:  
– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თავისი აკადემიური გუნდითა და საუკეთესო სტუდენტებით, წამდვილად გამორჩეულია იურიდიული განათლების სფეროში. მნიშვნელოვანია ფაკულტეტის სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, სასწავლო ლიტერატურის გამდიდრება და ფაკულტეტის აკადემიური გუნდის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი თავს უნდა გრძნობდეს

დაფასებულად და ღირსეულად, როგორც ეს ეკადრება პირველ ქართულ უნივერსიტეტს. ვისურვებდი, რომ სახელფასო ანაზღაურების მიმართულებით იყოს შესაძლებელი პროფესორისა და ადმინისტრაციული გუნდის მხარდაჭერა.  
მეორე კორპუსის რეაბილიტაცია დასრულდა და ბევრი გაკეთდა, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ღირსეული გარემო სწავლისათვის. ამავდროულად, უნივერსიტეტმა მუდმივად უნდა იზრუნოს ამ გარემოს გაუმჯობესებაზე, მეტი სტუდენტური სივრცე, კარგი სტუდენტური სასაფლაო, უკეთესი ბიბლიოთეკა – ეს არის ის ძირითადი, რის განვითარებაზეც უნდა იზრუნონ ყველამ ერთად.  
**ბესარიონ ზოიძე**, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი:  
– მიწა, ახალი წელი მივულოცო ჩემს სათაყვანებელ უნივერსიტეტს და გამოვთქვა სურვილები, რაც კიდევ უფრო გააჯანსაღებს მის ორგანიზმს, კერძოდ, ვისურვებდი: 1. უნივერსიტეტის დამფუძნებელთა ღირსების შესაფერისად მოქმედებას; 2. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სრულ ინტეგრაციას; 3. სასწავლო-სამეცნიერო პროცესებში ნაკლებ ფორმალისმს და მეტ თავისუფლებას; 4. საუნივერსიტეტო ავტონომიისა და აკადემიური თავისუფლების სრულყოფილად გამოყენებას; 5. საფაკულტეტო ავტონომიის ზრდას; 6. კოლექტიური პასუხისმგებლობის ადგილის შემცირებას;

7. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის (თვითპასუხისმგებლობის) ზრდას; 8. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გაუქმებას; 9. აკადემიური პერსონალი-სადმი ნდობის გაძლიერებას; 10. სტუდენტისა და პროფესორის ინტერესების მუდმივ ხელშეწყობას; 11. ევროპული უნივერსიტეტების მსგავსად, უნივერსიტეტში სასაფლაო მონაცემებს სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი პირობებით; 12. საუნივერსიტეტო წესრიგის განსაზღვრისა ალტერნატიული ფასეულობებისადმი მეტ პატივისცემას.  
**ლალი სურამანიძე**, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი:  
– მესამე მისიის რეალიზაციას ემსახურება ფსიქოლოგიური კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრის ამოქმედება ფაკულტეტზე, რომლის ფარგლებშიც ფსიქოლოგიურ-საკონსულტაციო მომსახურებას იღებენ თსუ-ს სტუდენტები. ფაკულტეტი გეგმავს, ასევე, ადამიანების ფსიქოლოგიურ მომსახურებას თსუ-ს ფარგლებს გარეთაც; იგეგმება ადრეული განვითარებისა და განათლების ცენტრის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება საბავშვო ბაღების მასწავლებლების და მშობლების დატრენინგებაზე ბავშვის ადრეული განვითარების ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით; გვსურს – შევთავაზოთ ტრენინგები სკოლის მასწავლებლებს ინკლუზიური განათლების

საკითხებზე; დაგეგმილია საჯარო ლექციების და შეხვედრების მომზადება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის, განათლების, ბავშვის განვითარების საკითხებზე.  
ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორები ორიენტირებული არიან აქტიურ თანამშრომლობაზე იუსტიციის სახლის ტრენინგ-ცენტრთან იმ მიზნით, რომ დაეხმარონ მათ თანამშრომლებს სტრესის დაძლევაში, კომუნიკაციური ჩვევებისა და ემოციური ინტელექტის განვითარებაში; საჯარო სამსახურის ბიუროსთან აქტიურდება კონტაქტები საჯარო მოსამსახურეების ფსიქოლოგიური გაძლიერების მიმართულებით. საზოგადოდ, ფსიქოლოგთა საკონსულტაციო საქმიანობის გააქტიურება ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური ცხოვრების მრავალ სფეროში. ასევე, მნიშვნელოვან საქმედ მიგვაჩნია პოპულარული საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების შექმნა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის – სტუდენტების, მშობლებისა თუ ორგანიზაციებისთვის.  
**ზაპარია ძიტიანიძე**, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი: – თანამედროვე ციფრულმა ეპოქამ დღის წესრიგში სწავლა-სწავლების პროცესის ახალი შესაძ-



# ისტორიკოს აკაკი სურგულაძის მეუვალე პოზიციები ეროვნული ღირსების დასაცავად

ოს-ში აკაკი სურგულაძის დაბადების 110-ე წლისთავი აღინიშნება

61600 ხაჯალია

ქართული საქმის კაცის, გამოჩენილი ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, თვალსაჩინო მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო და სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიების ლაურეატის, აკაკი სურგულაძის 110 წლისთავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოებასთან ერთად აღნიშნავს. აკადემიურ საზოგადოებას ჯერ კიდევ ვალი აქვს მოსახდელი აკაკი სურგულაძის წინაშე, მეცნიერის, როგორც საქართველოს ახალ და უახლეს ისტორიაზე მომუშავე მართალი კაცისა და დიდ ქართველთა სახელების პოპულარიზაციის მოთავე ისტორიკოსის ღვაწლისთვის. საზოგადოების მხრიდან აკაკი სურგულაძის 110 წლისთავის აღნიშვნა, ალბათ, დიდი მადლიერების გამოხატულებაც იქნება მისი წიგნის – „არდავიწყება მოყვრისა“ (მეორე გამოცემა „მარად-სახსოვარი“) – დაწერისთვის, რომელიც, 1986 წელს, აკაკი სურგულაძემ თავისი მასწავლებლებისა და მეგობრების ხსოვნას მიუძღვნა. სიყვარულით, სითბოთი და გულისხმიერებით განმსჭვალულ ამ ნაშრომში ქართული ისტორიოგრაფიის ისეთი წარმომადგენლების შემოქმედებითი პორტრეტებია შექმნილი, როგორებიც არიან: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, მიხეილ პოლივექტოვი, შალვა ამირანაშვილი, ალექსანდრე წერეთელი, იასე ცინცაძე, შოთა მესხია, დავით გვრიტიშვილი, გივი კილაძე, ირაკლი ანთელავა და სხვ. ამ სახელების უკან დგას სწორედ აკაკი სურგულაძის, როგორც მონათვის და მეგობრის, ეროვნული სულისკვეთებით გაგრძელებული საქმენი.

აკაკი სურგულაძე დაიბადა 1913 წლის 24 ივნისს სოფელ შემოქმედში (დღევანდელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტი). იგი 1934 წელს გახდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც 1939 წელს წარჩინებით დაასრულა და ჩაირიცხა ასპირანტურაში, სადაც მისი ხელმძღვანელი პროფესორი მიხეილ პოლივექტოვი იყო. აკაკი სურგულაძე 1958 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძობდა ჯერ სსრკ ხალხთა, შემდგომში რუსეთის ისტორიის

კათედრას. ორჯერ, 1953-1956 და 1972-1976 წლებში იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი.

პროფესორი აკაკი სურგულაძე ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების ერთ-ერთი გამორჩეული წევრი და თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე იყო. 1974 წელს პროფესორი აკაკი სურგულაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს. აკაკი სურგულაძის სამეცნიერო ინტერესების სფეროს

აკაკი სურგულაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც წარმატებით განაგრძო ნიკო ბერძენიშვილის დაწყებული საქმე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ახლო წარსულის მეცნიერულ კვლევაში



აკაკი სურგულაძე

მეცნიერმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა, იმთავითვე დაძლია 1832 წლის შეთქმულების ცალმხრივი გაშუქების ტენდენცია და ეს შეთქმულება XIX ს. 30-იან წლებში დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვან გამოვლენად აღიარა.

აკაკი სურგულაძის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიები: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა“, „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში“, „ილია ჭავჭავაძე: ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მდებარეობა“ (რუს. ენაზე), „ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“, „ექვთიმე თაყაიშვილი“, „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“, „XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“ (რუს. ენაზე).

მეცნიერის ძალისხმევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნდა ქართული კულტურის ისტორიის სამეცნიერო ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც შემდგომში ქართული კულტურის ისტორიის კათედრა ჩამოყალიბდა.

პროფესორ აკაკი სურგულაძის წვლილი ქართული კულტურის ისტორიის შესწავლაში აღიარებულია დასავლეთის სამეცნიერო წრეებშიც. ქართველი ისტორიკოსი „იუნესკომ“ ჩართო მასშტაბურ პროექტში, რომლის ფარგლებშიც ინგლისურ ენაზე გამოიცა „აკაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიის“ მრავალტომიანი. ამ გამოცემის მეხუთე ტომში შესულია აკაკი სურგულაძის ნარკვევი „საქართველოს კულტურა XVI-XVIII საუკუნეებში“. პროფესორ აკაკი სურგულაძის შთაგო-

ნების წყარო მუდამ იყო დიდი ქართველი ისტორიკოსი და თბილისის უნივერსიტეტის მესაძირკვე ივანე ჯავახიშვილი. შემთხვევითი არ არის, რომ მეცნიერის ბინაშიც, სამუშაო კაბინეტის კედლებს ივანე ჯავახიშვილისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოსურათები ამშვენებდა. ბატონი აკაკი არა მხოლოდ მოესწრო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, არამედ ამ გამოჩენილი სწავლულის ლექციებიც მოისმინა და მისი ღირსეული დამფასებელი გახდა. აღსანიშნავია ისტორიის ფაკულტეტის დეკანის რანგში აკაკი სურგულაძის სიტყვა ივანე ჯავახიშვილის ძეგლის გახსნაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში 1953 წელს. გამოსვლას დამსწრე საზოგადოებაზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია. თვითმხილველთა გადმოცემით, ამ სიტყვით აღფრთოვანებულ შალვა ნუცუბიძეს ბატონი აკაკისათვის შუბლზე უკოცნია.

უნივერსიტეტის პროფესორთან სტაჟირებას გადიოდა მრავალი სპეციალისტი საზღვარგარეთის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და პოლონეთიდან. პროფესორისგან მნიშვნელოვანი კონსულტაციები აქვთ მიღებული ცნობილ უცხოელ ისტორიკოსებს რონალდ სუნისა და სტივენ ჯონსს. მეცნიერი მეგობრობდა ცნობილ ინგლისელ ქართველოლოგთან დევიდ ლენგთან.

ბატონი აკაკი მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესშიც, თუ სიმპოზიუმში, მათ შორის, 1975 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქ. სან-ფრანცისკოში გამართულ ისტორიკოსთა მეთოთხმეტე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში.

მკვლევარი პროფესორ ილია ტაბაღულასთან და დოცენტ პაატა სურგულაძესთან ერთად 1989 წელს ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა პარიზში. ამ მივლინების შედეგად დაინერა აკაკი და პაატა სურგულაძეების დამზარებული სახელმძღვანელო – „საქართველოს ისტორია“.

აკაკი სურგულაძე 1991 წლის 13 დეკემბერს გარდაიცვალა. იმ დღეებში მასზე ლევან სანიკიძე იტყვის: „მან შეურცხვენილი სიცოცხლით იცხოვრა სირცხვილის ცდუნებით აღსავსე ჩვენს თანადროულ წუთისოფელში“.

(სტატიაში გამოყენებულია ინფორმაცია ისტორიკოს ოთარ ჯანელიძის პროშორიდან – „აკაკი სურგულაძე – მეცნიერი და მოღვაწე“, (დაბადებიდან 100 წლისთავისათვის, თბ., 2013).

## ოფიციალური ინფორმაცია

### განცხადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაინყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.

2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაინყოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 8 იანვარს 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2024 წლის 18 იანვარი 18:00 საათი.

4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების გაცნობა და პრეტენდენტებთან გასაუბრება განხორციელდეს 2024 წლის 22 იანვრიდან 2024 წლის 25 იანვრის პერიოდში, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ თარიღსა და დროს.

5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული

ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2024 წლის 26 იანვარს.

6. პრეტენდენტი უნდა იყოს:

- ა) უმაღლესი განათლების მქონე;
- ბ) ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;
- გ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.

7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:

- ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;

- ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
- გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
- დ) ავტობიოგრაფია (CV);
- ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;
- ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
- ზ) ცნობა საქსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;
- თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.





